პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 106 (13788)

შაბათი, 6 მაისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

შრომაში გამარჯვებულნი

წარმატებით შრომობს რუსთავის სატვირთო სადგურის კოლექტივი, რუსთაველმა რკინიგზელებმა ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალის მაჩვენებლებით რკინიგზის თბილისის გასყოფილების გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი მოიპოვეს. მიმდინარე საიუბილეო წელს რუსთავის სატვირთო სადგურის მუშაკებმა გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს და პირველი კვარტალის მაჩვენებლებით გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი შეინარჩუნეს. გარდა ამისა რუსთაველებმა პირველი კვარტალის მაჩვენებლებით ამერკავკასიის რკინიგზისა და რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი დაიმსახურეს.

ამ დღეებში რუსთავის სატვირთო სადგურის კოლექტივმა საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავისათვის გამლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებისათვის სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს მესამე ფულადი პრემია მიიღო.

რუსთაველებმა აპრილის გეგმებიც გადაჭარბებით შეასრულეს.

ქუთაისი. (სკ. კორ.). საიუბილეო წელს დიდი აღმავლობით მუშაობს ავეჯის ფაბრიკის (დირექტორი ლ. კოლუაშვილი) კოლექტივი, რომელსაც სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

მეავეჯეებმა მაღალი ტემპი აიღეს მეორე კვარტალშიც. მათ ვადამდე შეასრულეს ოთხი თვის დავალება და 90 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

უმანძილო, უქაღალდო გაზეთი



გვესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. გარდაფხაძე

ხვალ რადიოს დღეა. რადიო დიდი ხანია გადაიქცა ადამიანის განუყოფელ მეგობრად, მისი ცხოვრების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, ისეთ მდგომარეობაც ძნელია წარმოიდგინო დღევანდელი სამყაროა. „უმანძილო და უქაღალდო გაზეთმა“ შეამცირა მანძილი, დრო, ერთმანეთს დაუახლოვა კონტინენტები, ადამიანები... ამავე დროს რადიო, ეს უდიდესი ტექნიკური მიღწევა, ისე სწრაფად დაინერგა საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ძნელია პრეცედენტი მოინახოს კაცობრიობის ისტორიაში. ჩვენ შევეჩვიეთ მას და აღარ გვაკვირვებს, მაგრამ სულ ორმოციოდე წლის წინათ იგი პირველად აღერეთ საქართველოში და პირველი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა...

როგორ განვითარდა რადიომაუწყებლობის საქმე საქართველოში? როგორ დამკვიდრდა იგი ჩვენ ცხოვრებაში? როგორია მისი შემდგომი განვითარების გზები? ამ კითხვებზე ესაუბრა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ამხ. **კ. გარდაფხაძე:**

— ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე წინასწარმეტყველებდა რადიოს უდიდეს როლსა და მნიშვნელობას. სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად ჩქარი ტემპით იზრდებოდა და ვითარდებოდა რადიომაუწყებლობა. საქართველოს ბოლშევიკებმა სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე გაამახვილეს ყურადღება რადიოსადგურების მშენებლობისა და რადიომაუწყებლობის საკითხებზე.

პირველი რადიოგადაცემა საქართველოში 1924 წელს მოეწყო. მაშინ რადიოტექნიკის ენთუზიასტთა ერთმა ჯგუფმა თბილისის ერთ-ერთი ქარხნის მუშებისათვის ოპერის თეატრიდან მოაწყო „კარმენის“ ტრანსლაცია.

1926 წლის ბოლოს დამთავრდა თბილისის იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი რადიოსადგურის გამოცდა და შეიქმნა ძირითადი ტექნიკური პირობები რადიომაუწყებლობისათვის, ხოლო 1927 წლის იანვრიდან დაიწყო რეგულარული გადაცემები.

რადიომაუწყებლობის პიონერებს მეტად რთულ და ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. საკმაო რაოდენობით არ ჰქონდათ ტექნიკა, აკლდათ კადრები და სამუშაო ფართობი, არ ჰქონდათ მუშაობის გამოცდილება. მაგრამ საქართველოს რადიომაუწყებლობა თანდათან უფრო მტკიცედ დგებოდა ფეხზე, იხვეწებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა პროგრამები. ახალი სპეციალისტები მონაწილეობდნენ მათს მომზადებაში, იზრდებოდა რადიოსადგურებისა და რადიოსატრანსლაციო კვანძების რაოდენობა, ფართოვდებოდა რადიოსადგურების მოქმედების არე და იზრდებოდა მსმენელთა რიცხვი. რადიო მტკიცედ იჭრებოდა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოში რადიომაუწყებლობის გარიჟრაჟზე რადიოს მუშაკებს რამდენიმე პატარა ოთახი ჰქონდათ, ახლა კი საქართველოს რადიოსა და ტელევიზიას აქვს მთელ ჩვენს ქვეყანაში, და არა მარტო საბჭოთა კავშირში, ერთ-ერთი საუკეთესო შენობა, რომლის ფართობი დაახლოებით 12 ათასი კვადრატული მეტრია. ჩვენი სტუდიები, პავილიონები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

თორმეტი წლის წინათ დიდ მიღწევად ითვლებოდა, რომ რესპუბლიკაში 174 ათასი რადიოსატრანსლაციო წერტი, 81 ათასი რადიომიმღები იყო, ახლა რადიოები და ტელევიზორები საქართველოს ყველა შრომელის ოჯახში დამკვიდრდა. ამის დადასტურებაა ერთ მილიონამდე რადიომიმღები და რადიოსატრანსლაციო წერტი და უამრავი ტელევიზორი, რომელთა რიცხვმა 200 ათას მაღწია. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში არ არის რაიონი, სადაც არ იყოს რადიოკვანძი. მათ ნახავთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში. სასიხარულოა, რომ ახლა არა მარტო გვისმენენ და გვხედავენ, არამედ ისიც, რომ მოსწონთ ჩვენი გადაცემები. საქართველოს რადიო და ტელეგადაცემები დიდხანია გასცილდა რესპუბლიკის ფარგლებს, მათ ისმენენ და ნახულობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაშიც.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ რადიოფურნალისტების თანამთა შრომის შედეგად შექმნილია უნიკალური ფონდი რადიოჩანაწერებისა, რომლებიც ასახავენ საბჭოთა საქართველოს ისტორიას. ამას ემატება ამ უკანასკნელ ათ წელიწადში შექმნილი ტელეჩანაწერების ფონდიც. ჩვენს არქივებში ინახება რევოლუციის ვეტერანთა, მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების, გამოჩენილი პარტიული და საბჭოთა მოღვაწეების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის შესანიშნავ მუშაკთა ხმები, რეპორტაჟები ჩვენი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა. ეს ყველაფერი საბჭოთა საქართველოს ისტორიის უძვირფასესი საგანძურია,

პარტია და მთავრობა უდიდესი მზრუნველობით ეკიდებიან რადიოსა და ტელევიზიას, როგორც იდეოლოგიური ზეგავლენის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას. მოკლე ხნის განძილზე ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დაიფარა რადიოსადგურებისა და სატელევიზიო სადგურების ქსელით. ყოველდღიური რადიოგადაცემები საბჭოთა კავშირში დღეღამეში 1.200 საათს შეადგენს, ტელეგადაცემები კი — 900 საათს. საკმარისია აღვნიშნოს, რომ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მარტო ტექსტობრივი გადაცემები ყოველდღიური გაზეთის რვა ნომერს აღემატება. რადიომ და ტელევიზიამ საბჭოთა ხალხს თითქოს ერთ აუდიტორიაში მოუყარა თავი და ისინი ჩვენი ყოველდღიური მოვლენების აქტიური მონაწილე და შემოქმედი გახადა.

საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა. ამაღლდა გადაცემების დონე, ხარისხი, უფრო შინაარსიანი გახდა პროგრამები, გაიზარდა ოპერატიულობა და ორგანიზატორული როლი, გაძლიერდა კავშირი ცხოვრებასთან. შემოღებულია ახალი ციკლები, რომლებიც ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებასა და შემოქმედებითს შრომას, მათს მიღწევებს, ფართოდ შუქდება ჩვენს სახელმწიფოში და საზღვარგარეთ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები.

მომდინარე ხუთწლედში მასობრივი მაუწყებლობა კიდევ დიდ თვისებრივ ნახტომს გააკეთებს. გათვალისწინებულია გრანდიოზული მშენებლობანი, რომლებიც ჩვენი მუშაობის ყველა მხარეს მოიცავს, გაძლიერდება რადიო და სატელევიზიო სადგურები, მწყობრში ჩადგება ახალი დანადგარები...

მომდინარე წელი განსაკუთრებული წელიწადია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, —თქვა დასასრულ ამხ. **კ. გარდაფხაძემ**, — საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავს. ჩვენ, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს, დიდი გეგმები და ამოცანები გვიდგას წინ. ვფიქრობ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები არ დაიშურებენ არც ნიჭს, არც შესაძლებლობას, რომ ღირსეულად აღნიშნონ ჩვენი ცხოვრების ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი.

და კიდევ, ძვირფასო რადიომსმენელებო და ტელემაყურებლებო, ვეცდებით ჩვენს ყოველ გადაცემას სიხარული და სითბო შემოჰქონდეს თქვენს ოჯახებში.

სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის მეორე რესპუბლიკური შეკრება

ქუთაისი, 5 მაისი. (საქდესის კორ.). დღეს აქ გაიმართა საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის მეორე რესპუბლიკური შეკრება.

ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს ყველა რაიონიდან შეიკრიბა სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციის 700-მდე წარმომადგენელი, სტუმრები — უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების, ყაბარდო-მალყარეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეკრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. პ. მეკავანაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ო. კობახია,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **დ. დ. დიასამიძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ნ. ჯუსოევი,** პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. ს. კობახიძე,** საქართველოს სსრ მინისტრები **თ. ვ. ლაშქარაშვილი, ო. ვ. თაქთაქიშვილი,** საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე **გ. ვ. სიხარულიძე,** ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, სოფლის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუმრები.

მოხსენება „საქართველოს სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენცია საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის“ შეკრებაზე გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ე. ჩერქეზიამ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. კობახიძე,** ქალაქ ჭიათურის სოფელ ქვაციხის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ნ. ქორიძე,** კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ხინტბა,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი,** კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **რ. სარიშვილი,** თეთრი წყაროს მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი **ლ. მჭედლიშვილი,** მწერალი **კ. ლორთქიფანიძე,** კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **თ. ქაბულოვა,** ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის კლუბის გამგე **ნ. მაშავა,** გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. უტიაშვილი,** წყალტუბოს რაიონის ოფურჩხეთის სოფლის საავადმყოფოს ექიმი **ნ. სხირტლაძე,** თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **დ. ჩხეიკაშვილი,** კომკავშირის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი **ბ. ფოცხვერაშვილი,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **გ. ელიავა,** მახარაძის რაიონის სოფელ მაკვანეთის საშუალო სკოლის პედაგოგი **ც. ბერსენაძე.**

შეკრების მონაწილეებს მიესალმნენ ქუთაისის სკოლების მოსწავლეები.

სტუმრების სახელით შეკრებაზე გამოვიდა უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. სკიბა.**

შეკრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მეკავანაძემ.**

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი.

შეკრების ანგარიში გამოქვეყნდება.

მაისის პირველ დღეებში მცხეთის რაიონის მხვნელ-მთესველებმა მთელი ძალით გაიჩაღეს სამარცვლე და სასილოსე სიმინდის თესვა. წინ მიდის სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობა, რომელმაც წელს უნდა დათესოს 230 ჰექტარი სიმინდი. აქედან 150 ჰექტარი — სამარცვლედ. კოლმეურნეობაში სიმინდის თესვა დასასრულს უახლოვდება. ამ სურათზე აღბეჭდილია სიმინდის თესვა სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობაში.

ფოტო გ. გაბუნიასი.

სოფლის მუშაკთა წარმატება

გარდამავალი წითელი დროშა ხაშურის რაიონს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც გააჩაღეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებითა და დამზადებით საიუბილეო წლის პირველ კვარტალში ბევრმა რაიონმა ისახელა თავი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ დაადგინეს:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭოს ხაშურის რაიონს 1967 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. რაიონმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 152,6 პროცენტით, რძისა — 197 პროცენტით, კვერცხისა — 122,5 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდასთან ერთად რაიონში იზრდებოდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობაც. პირუტყვისა და ფრინველის სულადობამ 1967 წლის 1 აპრილისათვის ამავე წლის 1 იანვართან შედარებით შეადგინა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 104,8 პროცენტი, აქედან ძროხისა — 101,7 პროცენტი, ღორისა — 107 პროცენტი, ფრინველისა — 114,6 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კარგად იმუშავეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში ლანჩხუთის, ლენტეხის, ბორის, კასპის, ბორჯომის, ადიგენის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, წალკის, დმანისის, თიანეთის, წყალტუბოს, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, აბაშის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, მახარაძის, ჩოხატაურის, ხულოს, შუახევის, ცხინვალისა და ბაგრის რაიონებმა. (საქდესი).

საბჭოთა პრესა ზეიმობს

მოსკოვი

5 მაისს საბჭოთა ხალხმა აღნიშნა დიდი დღესასწაული — საბჭოთა პრესის დღე. კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო სხდომაზე შეიკრიბნენ ცეკა-ს, ალკკ ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, რადიოსა და ტელევიზიის, საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოლქების, ეროვნული ოლქების, ეროვნული ოლქების,

ჟურნალი „კომუნისტი“

პარტიის რაიკომი და სოფლის კულტურა

ვინც უკანასკნელ წლებში ჩვენს რაიონში არ ყოფილა, ახლა ვეღარც კი იცნობს მას. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაქანებამ და მასშტაბმა, სოფლად მიმდინარე ღრმა პროცესებმა და დროის დამახასიათებელმა ნიშნებმა სახე უცვალეს ქალაქსა და სოფელს.

ამ მხრივ ჩვენთან ყველაზე თვალსაჩინო ძვრები მოხდა ბოლო ორი წლის მანძილზე. და ამას უნდა ვუმადლოდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმს, პარტიის XXIII ყრილობას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებამ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ადამიანთა კულტურული დონის ამაღლების, მათი ყოფის გაუმჯობესების ფართო ჰორიზონტები გადაშალა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობაზე კი მეტყველებს ახეთი მაჩვენებლები: შარშან სახელმწიფოს მიეყიდა. 88.685 ცენტნერი ყურძენი (გეგმის 179 პროცენტი), აგრეთვე დიდძალი მარცვლეული, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქტები, აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად მოეწყო საშემოდგომო თესვა, წარმატებით შესრულდა მრავალწლიანი ნარგავების გაშენების დავალება.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაიონის ეკონომიკის მთავარ დარგს — მევენახეობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საზოგადოებრივ სექტორში ვენახების ფართობი 2500 ჰექტარით გაიზარდა და ახლა იგი 3700 ჰექტარს შეადგენს.

საგარეჯოს, როგორც ქალაქს, მხოლოდ ხუთი წლის ისტორია აქვს. ადვილი საქმე როდია მამა-პაპურ ყაიდაზე ნაშენი ამ ძველი სოფლის ძირეულად გარდაქმნა და მისთვის თანამედროვე ქალაქის იერის მიცემა. მაგრამ მოკლე ხანში აქ ბევრი ისეთი რამ გაკეთდა, რამაც შნო და ლაზათი შემატა საგარეჯოს. იგი დაამშვენა ორ-სამსართულიანმა საზოგადოებრივმა ნაგებობებმა და საცხოვრებელმა სახლებმა. ამათგან აღსანიშნავია სასტუმრო, საბავშვო ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციული სახლი, ავტოპროფილაქტორიუმი, საცურავი აუზი, რესტორანი, აგრეთვე ფეხბურთის სტადიონი და ტყე-პარკი.

განსორდა, გაფართოდა, მოიკირწყლა და მოასფალტდა ბევრი ქუჩა, რომლებსაც ნეონის შუქი დაჰნათის. ბევრი რამ გაკეთდა საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების გეგმიანად აშენება-დამშვენებისათვის. წესრიგზე იქნა მოყვანილი ინდივიდუალური ნაგებობანი და საუბნო გზები.

სამი სკოლა, სამი მაღაზია, ხუთი ამბონ, 17 საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი, ერთი საბავშვო ბაღი, ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ორი რესტორანი — აი უკანასკნელ ორ წელიწადში შესრულებული საგარეჯოს რაიონის სასოფლო მშენებლობათა არასრული სია.

შავი საფარი მოეხსნა და მოიხრეშა ათეულობით კილომეტრი სასოფლო გზები, კეთილმოეწყო ბევრი კლუბი და ბიბლიოთეკა, მთელ რიგ სოფლებში აშენდა მარტივი ტიპის სასპორტო მოედნები.

ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება აუცილებლად გარდაქმნის სოფლის მოსახლეობის ყოფას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონის მოსახლეობამ შეიძინა 600 ათასი მანეთის ავტომანქანები, პიანინოები, როიალები, ტელევიზორები, რადიომიმღებები, მაგნიტოფონები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, ელექტრომტვერსასრუტები და სხვ. ამავე პერიოდში ავეჯის რეალიზაციის თანხამ 222 ათასი მანეთი შეადგინა.

მშრომელები დაეწაფნენ წიგნს — ცოდნის წყაროს. 1965-1966 წლებში მათ შეიძინეს 121 ათასზე მეტი მანეთის წიგნები. გაიზარდა ბიბლიოთეკების წიგნის ფონდიც. ახლა იგი 176.386 ცალს შეადგენს. მკითხველთა რაოდენობამ კი 15.403-ს მიაღწია.

მიმდინარე წლისათვის გავრცელდა 33.623 ეგზემპლარი ყურნალ-გაზეთები, რაც ორნახევარჯერ აღემატება 1963 წლის რეალიზაციის დონეს. ახლა საშუალოდ თვითეულ ოჯახზე 3 ყურნალ-გაზეთი მოდის. მარტო რაიგაზეთი „ივრის განთიადის“ ტირაჟმა 4.000-ს მიაღწია. ფართოდ დამკვიდრდა უქაღალდო და უმანძილო გაზეთი — რადიო. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის რაიონში იყო 2.637 რადიოწერტილი, აქედან სოფლად — 2.048.

ფოსტის სასოფლო განყოფილებებსა და რაიონულ კვანძს აქვთ ტელეფონის 11 კომუტატორი 280 ნომრით, ხოლო ქ. საგარეჯოში მუშაობს 500-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური. რაიონის მოსახლეობას ემსახურება ორი საუნჯაები და სამი საკოლმეურნეო რადიოკვანძი. მშრომელთა 4.200-მდე ოჯახს აქვს ტელევიზორები.

ხალი ეზიარა კინოს — ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვან, მასობრივ დარგს. შარშან ქალაქის კინოთეატრის, მისი ორი ფილიალის, სოფლის ცხრა დანადგარის და ოთხი მოძრავი კინოდანადგარის მიერ გამართულ სეანსებს 175 ათასამდე კაცი დაესწრო.

ამჟამად რაიონში არის საყოფაცხოვრებო მომსახურების 62 ობიექტი 160-ზე მეტი ხელოსანით და ორი სპეციალური ავტომანქანა გამხელელი ბრიგადებით.

რაიონი დაიკესელა სკოლებით. მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის სამსახურშია 42 დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები 620 მასწავლებლით.

მშრომელთა კულტურული წინსვლისა და დასვენების მნიშვნელოვანი კერებია რაიკულტსახლი, სასოფლო კლუბები (სულ 19), მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ბიბლიოთეკები (სულ 16), მუსიკალური სკოლა.

ნაყოფიერად მუშაობს საგარეჯოს სახალხო თეატრი, რომელსაც კარგი წინამორბედი ჰყავდა საგარეჯოს უძველესი თეატრის სახით. სახალხო თეატრის წარმოდგენამ „დევიძეების ოჯახი“ სახალხო თეატრების წელს მოწყობილ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მაყურებელთა მოწონება დიმესახურა. იმედს ვამყარებთ ხალხური სიმღერისა და ცეკვის რაიონულ ანსამბლზე (ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. მჭედლიშვილი), რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ფესტივალისათვის ემზადება.

მშრომელთა შორის სისტემატურად ეწყობა ისეთი მასობრივი ღონისძიებები, როგორიც არის ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, თემატური საღამოები.

რადიომ, ტელევიზიამ, თეატრალურმა და საკლუბო სცენამ, კინოეკრანმა, ლექტორის ტრიბუნამ, აგრეთვე ადამიანზე ზემოქმედების სხვა არხებმა და ფორმებმა საშუალება მოგვცა შესაძლებელად აგვემალვლებინა ადამიანთა კულტურის დონე. ამ მხრივ კეთილსასურველი გავლენა იქონია რაიონის ახლომდებარე ქალაქებმა — თბილისმა და რუსთავმა.

დიდია სოფლის კულტურის განვითარების პერსპექტივები. ამიტომ ახალი ძალით ჩადგება შემოქმედებითი მუშაობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მასობრივი მშენებლობისათვის, სოფლებისა და რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისათვის. სასოფლო-სამეურნეო არტელების საერთო შემოსავლის ზრდას მოქმედებაში მოიყვანს მეურნეობათა რეზერვები. ამის მაგალითია ყანდაურის, ბოგდანოვკის, შიბლიანის, ნინოწმინდისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად გარკვეულ თანხებს გამოყოფენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებათა დასაფინანსებლად და თავიანთი ძალებით ბევრ ობიექტს აშენებენ. წელს ვიორგაწმინდაში, პატარძეულსა და ნინოწმინდაში დამთავრდება ადმინისტრაციული სახლების მშენებლობა, რომლებშიც მოთავსდება კოლმეურნეობათა გამგეობები, სასოფლო საბჭოების აღმასკომები.

ცხოვრება მოითხოვს საზოგადოებრივი მეურნეობები მშენებლობებში კომპლექსურად ყოველდღენ როგორც წარმოების, ისე კულტ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საკითხებს.

ახლა საგარეჯოში კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის საფუძველზე. ხარაჩოები და საამშენებლო მოედნები მოჩანს სოფლებშიც. მოსახლეობა ყოველწლიურად ასობით ახალ კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლს აშენებს.

განსაკუთრებით ბევრი რამ გაკეთდება სოფლის კულტურის საქმეში წელს, რადგან იგი საიუბილეოა და მისი ღირსეულად აღნიშნისათვის დიდი მონდომებით ვემზადებით.

სოფლად კულტურული მუშაობის პლუსები და მინუსები, მისი პრობლემები აღელვებთ რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს. ეს ჩანს პარტიის რაიკომის პლენუმებზე, ბიუროებზე, კომუნისტთა კრებებზე მათი გამოსვლებიდან. კომუნისტთა საქმიანი რჩევა ეხმარება პარტიის რაიკომს, რაისაბჭოს აღმასკომს უკეთ გადაწყვეტონ სასოფლო მშენებლობისა და მშრომელთა საჭიროების საკითხები. შარშან რაიკომის ბიურომ განიხილა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და გაუჯობესების ღონისძიებათა, გორის, ზუგდიდისა და თელავის რაიონების მშრომელთა ინიციატივის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები. ყოველ საკითხს განვიხილავთ საქმიანად. კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებით და, რაც მთავარია, ამ განხილვას შემდგომში აუცილებლად მოსდევს ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

პარტიის რაიკომის მუშაკები ახლა მეტ ძალებსა და დროს ხარჯავენ ქვემოდან მიმდინარე ინიციატივის მხარდაჭერისა და გავრცელებისათვის.

რადგან კულტურაზე ზრუნვა ყოველი ხელმძღვანელობის ნაწილია, მას თავიანთი მოდგაწეობის დიდ ნაწილს უთმობენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. რაიკომი ცდილობს არ გასწოს სხვისი მაგიერობა, არ მიმართოს „ვერილმან ჩარეკვას“. ჩვენ ვცდილობთ მივაგნოთ მრავალრიცხოვანი აქტივის მობილიზების ქმედითს საშუალებებს. ცოცხალი, მჭიდრო კავშირი გვაქვს მშენებლებთან, ხშირად ვხვდებით, ვესაუბრებით მათ, ამიტომაც უკეთ ვიცით მათი მოთხოვნები, განწყობილება და საჭიროებანი.

ჩვენს დროში ყველა სოფელს ჰყავს მასწავლებლების, ექიმების, სპეციალისტების რაზმი. როგორც ყველგან, ჩვენს რაიონშიც სოფლის ინტელიგენცია დიდ ენერგიასა და ძალას ახმარს განათლებას, კულტურას. იგი აყენებს გონივრულ წინადადებებს სოფლის კულტურული მშენებლობის შესახებ. ინტელიგენციის ერთი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს პროპაგანდისტულ, საზოგადოება „ცოდნის“ და სხვა მუშაობაში. მარტო 1965-1967 წლებში მათ მიერ წაკითხულია 4 ათასზე მეტი ლექცია მეცნიერების ყველა დარგიდან.

ქალაქი და სოფლები შენდება საზოგადოებრივობის ფართო მონაწილეობით. მასებმა დიდი შრომა გასწიეს მთელ რიგ მშენებლობებზე, ქუჩების, დაწესებულებების, გზების კეთილმოწყობაზე. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ აგრეთვე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

ამ მხრივ ინიციატივას, თვითმოქმედებას იჩენენ და პირად მაგალითს უჩვენებენ დეპუტატები, რაიონის სახელოვანი ადამიანები. ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ ქუჩრებისა და სახლების კომიტეტები.

რაიონში დღემდე გვხვდება ისეთი სოფლებიც, სადაც ჯერჯერობით „დიდი ძვრები“ არ მომხდარა კულტურული მშენებლობის მხრივ. ამის მიზეზი ის არის, რომ დიბალია სასოფლო მშენებლობის ტემპი, რის გამო დასახული გეგმები ვერ ხორციელდება. საქმე ფერხდება იმითაც, რომ სუსტია სასოფლო სამშენებლო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არის ცალკეული მუშაკთა უყურადღებობისა და უსულგულობის ფაქტები. მაგალითად, სამდურავი გვეთქმის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 3 სამმართველოს მიმართ, რომელიც ჩვენს რაიონში საცხოვრებელი სახლებისა და კანალიზაციის სამუშაოებს აწარმოებს. იგი არცთუ იშვიათად აჭიანურებს მშენებლობას, ზოგჯერ კი უხარისხოდ აშენებს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ შარშან რაიცენტრში ერთ-ერთ მშენებლობაზე კურიოზამდე მიგვიყვანა.

სამი წელია, რაც ქალაქში საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ დაიწყო 48-ბინიანი სახლის მშენებლობა. მაგრამ იგი მეტისმეტად ჭიანურდება, გასული წლის ნოემბრიდან დღემდე მშენებლობაზე არცერთი მანეთი არ აუთვისებია. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. საგარეჯოში 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლისა და კანალიზაციის მშენებლობაზე.

ავტორიტეტი მოიპოვა და აღიარება ჰპოვა საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ, რომელიც ჩვენთან ბევრ რამეს აშენებს. მაგრამ უცნაურად გვეჩვენება საგეგმო და მომმართველი ორგანოების პოზიცია, რომელნიც ჯერ კიდევ არ აპრუნებენ პრინციპულ მითითებებს კოლმეურნეობებში მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ.

ბევრი რამ ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ ადგილობრივი მასალების წარმოების გასაღიდებლად. დავიწყეთ აგურის ქარხნის რეკონსტრუქცია, რაც ამ ძირითადი სამშენებლო მასალის წლიურ წარმოებას 40 მილიონ ცალამდე გაზრდის. ვფიქრობთ ავამოქმედოთ კირისა და რუბეროიდის (რბილი სახურავის) წარმოების გადიდების რეზერვებიც. მაგრამ ადგილობრივი მასალების წარმოების დროს ზოგჯერ სიძნელეებსაც ვაწყდებით. ყველაფერი რიგზე არ არის მშენებელთა კადრების მომზადების მხრივ. გვაკლია ზოგიერთი პროფესიის მუშები.

ერთი საკითხიც. როგორც ცნობილია, ქალაქის კულტურულ შეფობას სოფლისადმი მდიდარი ტრადიცია აქვს, მაგრამ ბოლო დროს იგი შესუსტდა. კარგი იქნება, თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ პარტიის არაერთგზის მითითებას ამ საკითხში და ვიფიქრებთ საშეფო საქმეში სამრეწველო საწარმოთა, სასწავლებლების, პარტიული ორგანიზაციების მიზიდვის აუცილებლობაზე.

ახლა რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები მტკიცე საფუძველს უყრიან საიუბილეო წლის უხვ მოსავალს. პარტიის რაიკომი ანაწილებს კომუნისტთა ძალებს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. მუშაობაში ჩაებნენ რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები, სახალხო კონტროლის საგუშაგოები და ჯგუფები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ჩვენ ყოველმხრივ ვზრუნავთ მიწათმოქმედთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურებისათვის.

რაიონში სასოფლო მშენებლობის პროგრამის თანმიმდევრულად შესრულება აუცილებლად უზრუნველყოფს სახელმწიფოს და კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა მაღალ ეფექტურობას, მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ადამიანის საშუალებით ადამიანისათვის — ასეთია ჩვენი დევიზი!

ო. საბაშვილი,

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.

სკოლისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმეა

ქუთაისელთა შესანიშნავი თაოსნობა

ქუთაისის მშრომელებს სკოლისათვის საყოველთაოს-სახალხო ზრუნვის კარგი ტრადიციები აქვთ. ამის მკაფიო დადასტურებაა ის, რომ მათ ზედიზედ სამჯერ მოიპოვეს და საბოლოოდ შეინარჩუნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მტკიცდება სკოლების მატერიალური ბაზა. მარტო ამ უკანასკნელ ოთხ წელიწადში ქუთაისს შეემატა 9 სასკოლო და 10 სკოლამდელ დაწესებულებათა შენობა. გარდა ამისა, შენობათა გაფართოების გზით სკოლებმა მიიღეს ახალი საკლასო ოთახები 3.000 მოსწავლისათვის.

მიმდინარე საიუბილეო წელს ქალაქში შენდება საშუალო სკოლის კიდევ ორი ახალი შენობა, თვითეული 960 მოსწავლისათვის, აგრეთვე ბაგა-ბაღი 240 ბავშვისათვის. დიდი სამუშაოები ხორციელდება არსებული სასკოლო შენობების გაფართოებისათვის.

ამ დღეებში ქუთაისის მშრომელებმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების, სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სახალხო განათლების მუშაკთა თათბირზე განიხილეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და 1967-1968 სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების საკითხი, ახალი, კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს და წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქალაქი თბილისი.

ქუთაისელები კისრულობენ ზუსტად განახორციელონ კანონი რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ და უზრუნველყონ რვაკლასდამთავრებული ყველა მოზარდის ჩაბმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან სპეციალურ სასწავლებლებში; დროულად დაამთავრონ ახალი სკოლების, ბაგა-ბაღების და საცურაო აუზის მშენებლობა; 15 აგვისტომდე გაუკეთონ შენობებს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი; დამატებით მძღვანელებისა და სახალხო განათლების მუშაკთა თათბირზე განიხილეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და 1967-1968 სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მომზადების საკითხი, ახალი, კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს და წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქალაქი თბილისი.

ქუთაისელები კისულობენ ზუსტად განახორციელონ კანონი რვაწლიანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შესახებ და უზრუნველყონ რვაკლასდამთავრებული ყველა მოზარდის ჩაბმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან სპეციალურ სასწავლებლებში; დროულად დაამთავრონ ახალი სკოლების, ბაგა-ბაღების და საცურაო აუზის მშენებლობა; 15 აგვისტომდე გაუკეთონ შენობებს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი; დამატებით შეიძინონ 500 მერხი, 50 ცალი ლაბორატორიული მაგიდა, ამდენივე კარადა, 60 დაფა და სხვა ინვენტარი; კაბინეტლაბორატორიები შეავსონ 50 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღით.

ქალაქის სკოლებს, სკოლა-ინტერნატებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს მშენებლობისა და რემონტის, აგრეთვე თვალსაჩინო ხელსაწყოებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით, ინვენტარით უზრუნველყოფის საქმეში აქტიურ დახმარებას უწევენ საშეფო ორგანიზაციები.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა თავისი სახსრებით 30-ე საშუალო სკოლის შენობას მიუშენებს 18 საკლასო ოთახს, ხოლო მე-14 საშუალო სკოლას — 16 ოთახს. ამასთან კაპიტალურ რემონტს გაუკეთებს მე-3 სკოლის შენობას და მასვე კაბინეტ - ლაბორატორიებისათვის გადასცემს 12 ათასი მანეთის ღირებულების ხელსაწყო-იარაღებსა და ინვენტარს.

ელექტრომექანიკური ქარხანა მე-15 სკოლას მიუშენებს 2 [illegible] ოთახს, ლენინგორის ქარხანა მე-11 [illegible] ბ საკლასო ოთახს, [illegible] მე-17 სკოლას გაუკეთებს მიმდინარე რემონტს. აბრეშუმის კომბინატი პირველი და მე-12 სკოლების რემონტზე შეასრულებს 13.500 მანეთის საშუალოს.

სკოლებისათვის დახმარების გასაწევად კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო, სატრანსპორტო, სავაჭრო და სხვა შეფი ორგანიზაციების კოლექტივებმა.

ნაკისრი ვალდებულებები ითვალისწინებენ აგრეთვე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზაციის, ბავშვთა საზაფხულო დასვენების მოწყობისა და სხვა ღონისძიებებს.

ქუთაისის მშრომელები აქედანვე აჩაღებენ მუშაობას იმისათვის, რომ ყოველმხრივ სანიმუშოდ მოამზადონ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის, დიდი ოქტომბრის იუბილესათვის.

შ. ჯავახაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხაშური—ნოვოგრად-ვოლინსკი

ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა შეჯიბრება

მეგობრობის ეს, კიდევ ერთი სიმი ექვსი წლის წინათ გაიბა. მაშინ ხაშურის რაიონის დაბა სურამის კოლმეურნეობის წევრებმა წერილით მიმართეს უკრაინის სსრ ციტომირის ოლქის ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონის სოფელ კიკოვოს სასოფლო-სამეურნეო არტელ „უკრაინის“ კოლმეურნეებს. ქართველი კოლმეურნეები სთხოვდნენ უკრაიელ თანამოსაქმეებს ახლოს გაეცნოთ ერთმანეთი, მეგობრული ურთიერთობა დაეყარებინათ და სოციალისტური შეჯიბრება გაეჩაღებინათ ეკონომიკის ახალი აღმავლობისათვის.

1965 წლიდან ამ ორი კოლმეურნეობის საქმიანი ურთიერთობა ხაშურისა და ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონების მეგობრობაში გადაიზარდა.

გასული პერიოდი ორივე რაიონის მშრომელებისათვის იყო ნაადვილი შემოქმედებითი ურთიერთობის წლები. შარშან მათ გადამეტების შესასრულეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საგეგმო დავალებანი, პირნათლად მოიხადეს ვალი სახელმწიფოს წინაშე.

როგორც ერთ, ისე მეორე რაიონში ახლა დიდი მზადებაა ოქტომბრის იუბილეს შესახვედრად. ხაშურელი და ნოვოგრადვოლინსკელი მშრომელები ამ თარიღისათვის ახალ სიჩუქრებს უმზადებენ დედა-სამშობლოს.

ხაშურის რაიონის მშრომელთა ვალდებულებანი ითვალისწინებენ: მრეწველობის საერთო პროდუქციის წლიური გეგმის 106 პროცენტით შესრულებას, შრომის ნაყოფიერების 3 პროცენტით ზრდას, თვითღირებულების 1 პროცენტით შემცირებას. საიუბილეო წელს რაიონის მრეწველობა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 430 ათასი მანეთის საერთო პროდუქციას.

მნიშვნელოვნად ამაღლდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. წელს დამზადდება გეგმაზე მეტი: 465 ტონა მარცვლეული, 800 ტონა შაქრის ჭარხალი, 111 ტონა ბოსტნეული, 116 ტონა ყურძენი. 1 ნოემბრამდე შესრულდება მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

გაშენდება ახალი ვენახები და ბაღები, აგრეთვე ქარსაცავი ზოლი.

საიუბილეო წლის ვალდებულებებში ფართო ადგილი ეთმობა მიწების მელიორაციას, სარწყავი მშენებლობას, რწყვის მოწინავე მეთოდების დანერგვას, საძოვრების გასარწყავებასა და გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურება, დიდი ყურადღება მიექცევა ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობას.

გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს ნოვოგრად-ვოლინსკის რაიონის მშრომელებმაც. რაიონის სამრეწველო საწარმოები საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმის 103 პროცენტით შეასრულებენ, რითაც სამშობლოს დამატებით მისცემენ 1 მილიონი მანეთის პროდუქციას. წარმოების მოცულობის წლიური გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის, ამასთან გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნება 1,2 მილიონი მანეთის ნაწარმი. გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება, ამის საფუძველზე მიღწეულ იქნება 185 ათასი მანეთის ეკონომია.

ნოვოგრადვოლინსკელები წელს მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალ მოსავალს, რისთვისაც განახორციელებენ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს.

დასახულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და მეცხოველეობის ბინათმშენებლობის ფართო პროგრამა.

ორივე რაიონის ვალდებულებანი განხილულ და მიღებულ იქნა მშრომელთა წარმომადგენლების რაიონულ თათბირებზე.

შეჯიბრების დროშა აღმართულია, მომავალი გვიჩვენებს, ვინ გაიმარჯვებს.

მკითხველთა წერილები

მოიწონეს, მაგრამ...

ჭიათურა. კარგახანია, რაც რკინიგზის ჭიათურის სადგურის რაციონალიზატორებისა და გამომგონებელთა საბჭოს სხდომაზე განიხილეს ამავე სადგურის მოწინავე დისპეტჩერის ე. წერეთლისა და მატარებელთა შემდგენელის შ. მოდებაძის ორი საქმიანი წინადადება. ავტორები მოითხოვდნენ მცირე ხარჯებით სამანეერო სამუშაოების წარმოებას ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ტერიტორიაზე.

ამ წინადადებათა დანერგვის შედეგად წარმოება მიიღებდა საგრძნობ ეკონომიას, ამავე დროს მუშაობაში დაინერგებოდა საჭირო სიახლე.

აღნიშნული წინადადებები მოიწონეს. სადგურის ხელმძღვანელობამ მათ დასანერგვავად დახმარება რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელობას სთხოვა. მათაც მოიწონეს წინადადებები და დახმარებაც აღუთქვეს.

მაგრამ მას შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა, შედეგი კი არა ჩანს. ამბობენ, აღნიშნული წინადადებები ამჟამად ამერკაკასიის რკინიგზის სამმართველოშიაო. ვინ უწყის, რა ბედი ეწიათ ამ წინადადებებს?

ალ. კაპანაძე.

ჭიათურა, რკინიგზის, სადგური.

სოფლის ყრილოგამ გადაწყვიტა

ამას წინათ ყვარლის რაიონის სოფელ გრეშში ჩატარდა სოფლის ყრილობა, რომელზეც მოხსენებით თემაზე „რელიგიური დღესასწაულების მავნე გავლენა მოსახლეობის კომუნისტურად აღზრდაზე“ გაკეთა პარტიის ყვარლის რაიკომის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ივ. ნაობიშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. წოკლაურმა, 8-წლიანი სკოლის დირექტორმა ა. ავგაროზიშვილმა, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მ. ბარძიმაშვილმა, კოლმეურნეებმა ა. ლუარსაბიშვილმა, ნ. ხელაშვილმა, ი. ფარნაოზმა, ლ. დევიძემ და სხვებმა.

კოლმეურნეებმა ბევრი საინტერესო წინადადება წამოაყენეს სოფლის კეთილმოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აღმავლობისათვის. განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინეს სოფლის ახალგაზრდებმა.

ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სოფელში აღკვეთონ რელიგიური დღესასწაულების გამართვა, სამაგიეროდ გრემის 500 წლისთავთან დაკავშირებით დაწესონ და ყოველწლიურად იდღესასწაულონ გრემქალაქობა.

ვ. გურგენიშვილი.

„კომუნისტს“ უპასუხებენ

სიგნალები უკომენტაროდ

„კომუნისტში“ ამ სათაურით დაბეჭდილი შენიშვნის შესახებ წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ჭუთაიელაძე გვატყობინებს:

„სოფელ მუხიანში შენდება მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც 3,5 მილიონი მანეთი ჯდება. მართალია, რომ ამასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა ბამოიწვია გზის დაზიანება. მიღებული ზომების შედეგად აღნიშნული გზა ამჟამად წესრიგზეა მოყვანილი—შეივსო ორმები, დახურულია წყალსადენის ტრასა. მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით აღნიშნული გზა კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება“.

როდის გავიგონებთ, არისო?

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის გამო „საქწიგნის“ გაერთიანების მმართველი რ. არონიშიძე გვწერს:

„წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეიცავს. რაც შეეხება მოსწავლისა და ავტოკალმის მელანს. თებერვალში მათი მიწოდების საქმეში ადგილი ჰქონდა შეფერხებას თავსაცავების უქონლობის გამო. მიღებული ზომების შედეგად ქ. ბათუმში გაიგზავნა 8.400 ცალი მოსწავლის მელანი. გარდა ამისა, შემოზიდულია მოსწავლის მელანი და ავტოკალმისტარის მელანი 70.000 ცალამდე, რაც „საქწიგნის“ მაღაზიებში იყიდება.

ინტერნაციონალური საღამო

ჟუჟასანი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა ინტერნაციონალური სოლიდარობის დიდი საღამო, რომელიც ლითოფონის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მოეწყო.

ქიმიკოსთა კულტურის სახლში შეიკრიბნენ ოცზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გოგოლაშვილმა. მოხსენებით — „ხალხთა ლენინური მეგობრობა დიდი ოქტომბრის მონაპოვარია“ გამოვიდა ქარხნის პარტიბიუროს მდივანი დ. სვანაძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთის ცვლიდნენ ქარხნის საყოფაცხოვრებო მეურნეობის უფროსი, ქართველი გ. თარგამაძე, ლაქ-ემალების საამქროს ინჟინერი, რუსი ვ. შოპოტოვა, ქარხნის ბუხჰალტერი, უკრაინელი ნ. დუდნიკი, მიკრობარიტის საამქროს მუშა, ბელორუსი გ. კოლესნიკოვა, ბარიუმის საამქროს მუშა, მოლდაველი ვ. შარანოვსკი, შაბიამნის საამქროს უფროსი, ბერძენი გ. ანსატასიადი, ლითოფონის საამქროს მექანიკოსი, პოლონელი ა. გერვიცი, თუთიის საამქროს მუშა, ებრაელი ს. ბოგუსლავსკაია, სარემონტო საამქროს მუშა, ოსი ი. ქობულოვი, ასირიელი ა. აივაზოვი და სხვები.

საინტერესოა ითქვას, რომ თვითეული ორატორის გამოსვლის შემდეგ დარბაზში გაისმოდა შესაბამისი ეროვნების ფირზე ჩაწერილი ხალხური სიმღერის მელოდიები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ᲛᲘᲕᲬᲔᲓᲝᲗ ᲒᲔ

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 4 მაისი. (საკდესი). 3 და 4 მაისს პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. აქ გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების დარგში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის გეგმის შესაბამისად პლენუმმა განიხილა ბოლო ორი წლის მანძილზე ეკონომიური განვითარების პრობლემები და შემდგომი მიმართულებანი ეკონომიური წონასწორობისა და ცხოვრების დონის საკითხთა გადაჭრაში. ამ საკითხებზე მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ო. ჩერნიკმა.

გაიმართა აზრთა და შეხედულებათა ფართო გაზიარება იმის თაობაზე, თუ როგორ განახორციელონ უფრო წარმატებით პარტიის ეკონომიური პოლიტიკა უახლოეს პერიოდში. ამის შემდეგ პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამასთანავე პლენუმმა დამტკიცა ღონისძიებანი იმ ამოცანათა შესრულების დარგში, რომლებიც გათვალისწინებულია მომდინარე წლის გეგმით, აგრეთვე 1968 წლისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შემდგომი წლების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ღონისძიებანი.

პლენუმის მონაწილენი გაეცვნენ ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის შედეგებს, მოიწონეს ამ კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის პოზიცია.

პრაღა, 5 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პლენუმმა, რომელიც 3 და 4 მაისს გაიმართა, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იწონებს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის დელეგაციის მოქმედებას ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაზე, რომელიც 1967 წლის 24-26 აპრილს მიმდინარეობდა კარლოვი ვარში, და ეთანხმება კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტებს.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ კარლოვი ვარის კონფერენცია დიდმნიშვნელოვანი წვლილია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცებაში და გამოთქვამს რწმენას, რომ მიღებული განცხადება „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის“ საგრძნობლად უწყობს ხელს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთობლივი მოქმედების განვითარებას ევროპის კოლექტიური უშიშროების ქმედითი სისტემის შესაქმნელად.

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ჰელსინკი, 5 მაისი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა. ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვილე პესის მოხსენების გამო მიღებულ გადაწყვეტილებაში პლენუმმა მოიწონა ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის განცხადება „ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის“, აგრეთვე მიმართა ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად და განცხადება საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შესახებ.

ფინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ფინეთმა ცნოს ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს არსებობა და გამოიჩინოს ინიციატივა ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საქმეში.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ეკონომიური პოლიტიკის, მთავრობაში მონაწილეობისა და სხვა საკითხები და მიიღო შესაბამისი რეზოლუციები.

ოქტომგრის შედეგები

პანონი. გაზეთ „ნიან ზანში“ გაიხსნა ახალი რუბრიკა — „დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთვის შესახვედრად“. აქ რეგულარულად დაიბეჭდება მასალები საბჭოთა ხალხის შრომითი დღეების შესახებ.

გაზეთ „ნიან ზანის“ ახალი რუბრიკის პირველი ეასალები მკითხველებს გააცნობენ საბჭოთა ხალხის ბრძოლას 1967 საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. სტატიაში, რომელსაც თითქმის მესამედი გვერდი უჭირავს, განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთვისათვის საბჭოთა კავშირში მთლიანად ელექტრიფიცირებული იქნება ყველა საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა. (საკდესი).

„იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ყრილობა

რომი, 4 მაისი. (საკდესი). „იტალია-სსრ კავშირის საზოგადოების V საერთო ეროვნულ ყრილობაზე იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ეროდარი პიზანელმა (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) აღნიშნა, რომ საჭიროა ახლებურად მივუდგეთ ევროპის პრობლემების და ისეთი კონფერენციის მოწვევის საკითხის გადაჭრას, სადაც წარმოდგენილი იქნება ევროპის ყველა ქვეყნის, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტები, პიზანელი გამოვიდა დისკუსიაში „სსრ კავშირი და ევროპის ერთობა“ და ხაზი გაუსვა იტალია-საბჭოთა კავშირის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის დიდ როლს საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის განვითარებაში.

საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტის პროზიდენტმა ანტიგონო ფონტამ ღრმად გააანალიზა სსრ კავშირისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირ-იტალიის ეკონომიური ურთიერთობა განსაკუთრებით განვითარდა. ევროპის ეკონომიურ ერთობას, განაცხადა მან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს აზრი, თუ ამ გაერთიანებაში შევა სსრ კავშირი.

სსრ კავშირის რომის სელჩომ გუშინ დარბაზობა გუმამართა ყრილობის მონაწილეებს.

რომი, 5 მაისი. (საკდესი). „იტალია—სსრ კავშირის“ საზოგადოების V საერთო ეროვნულმა ყრილობამ გუშინ საღამოს დაამთავრა მუშაობა. დასკვნითი რეზოლუციაში ყრილობის მონაწილეებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ამერიკელებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა და განაცხადეს, რომ ვიეტნამში უნდა დაამთავრონ ომი ისე, რომ „საკმაოდ დაიცვან ვიეტნამელი ხალხის დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევა“. დელეგატებმა დაგმეს სამხედრო ოლიგარქიის პრესა იუწყება, დაიღუპა ორი პილოტი და ერთი მგზავრი.

სურათები ამხილებენ...

რეაქციული თვითმფრინავების ღმუილი ვიეტნამის ცაში არც დღისით წყდება, არც ღამით. ამერიკელი მეკობრეები სადისტური სისასტიკით აძლიერებენ ავაზაკურ თავდასხმებს მეიერიდან. ვიეტნამის ქალაქებსა და სოფლებს განუწყვეტლივ აყრის მომაკვდინებელ ტვირთს 1.700-ზე მეტი ბომბდამშენი. უცხოელთა პრესის აშკარად არასრული ცნობებით ამერიკის თვითმფრინავები შარშან 13 ათასჯერ გაფრინდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დასაბომბავად. 1966 წელს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიას დააყარეს 638 ათასი ბომბი და 500 ათასი ტონა ჟურვები. დანაშაულებრივი ომის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მილიონი ადამიანი დახოცეს ვიეტნამის სამოქალაქო მოსახლეობიდან.

ოკეანესგადმელი აგრესორები ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, საირიგაციო ნაგებობებსა და ხიდებს, რკინიგზებსა და გზატეცილებს.

„ლუმანიტეს“ სპეციალური კორესპონდენტი ტეო რონკო ამას წინათ ჰანოიდან გადმოცემული რეპორტაჟში წერდა „დედაქალაქის ჩრდილოეთით მუშური გარეუბნების — ვიეტრისა და თხანგუეენის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს ფუგასური და მსხვრევადი ბომბები დააყარეს, ასევე მოკმედებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები ბევრ სხვა რაიონში.

მაგრამ, უკანასკნელ ორ წელიწადში ასეულ ათასობით ტონა ფეთქებადი მასალა რომ დახარჯეს, ვაშინგტონის სამხედრო სპეციალისტები არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ ვიეტნამელი ხალხი ვერ დაჩოქეს, რომ იგი შეუდრეკელია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განდევნოს აგრესორები. ნაცვლად იმისა, რომ სწორი დასკვნები გააკეთოს, პენტაგონი ჯიუტად ცდილობს გატეხოს იმ ხალხის მამაცობა, რომელიც ბომბების სეტყვას ვერ დაუშინებია. და ამიტომ არა მარტო სულ უფრო ხშირად ესხმიან თავს დასახლებულ პუნქტებს, არა მარტო სულ უფრო და უფრო გამანადგურებელ სახეობათა იარაღს იყენებენ, არამედ, რაც განსაკუთრებით საშიშია, მიმართავენ მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა მასობრივი გაჟლეტის ტაქტიკას. მაგრამ, მიუხედავად მთელი სისასტიკისა, ჩრდილოეთ ვიეტნამის მოსახლეობის დემორალიზაციის ეს გეგმა ჩაიფუშა. ძალიან მცირე რესურსების მქონე პატარა ქვეყანა მტკიცე წინააღმდეგობას უწევს კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს. სოციალისტური ბანაკის დახმარება, მთელი მსოფლიოს ხალხების, მათ შორის თვით ამერიკელი ხალხის სოლიდარობა დიდმნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს ვიეტნამელ პატრიოტებს განაგრძონ ბრძოლა. დამარცხებები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანას მიაყენეს, განპირობებულია პირველ რიგში ვიეტნამელთა შეუდრეკელი მამაცობით, რომლებმაც გადაწყვიტეს იბრძოლონ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ დაიცვან თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების თავიანთი „უფლება“.

ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები ნაპალმს აყრიან და წვავენ სამხრეთ ვიეტნამის სოფლებს. ამერიკის პრესის აღიარებით თვითეულ მოკლულ პარტიზანზე მოდის სამხრეთ ვიეტნამის 10 მოკლული მშვიდობიანი მცხოვრები. და ამ ათი მცხოვრებიდან სულ მცირე შვიდია 16 წლამდე ასაკის ბავშვი. ეს სურათები, რომლებიც ამხილებენ ამერიკელ მფრინავთა ბარბაროსობას, გადაღებულია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ამასწინათ გამოქვეყნდა „ლუმანიტე-დიმანშში“, მარცხენა სურათზეა დანგრეული პაგოდა. სკოლა მოთავსებულა მიწისქვეშა ტრანშეაში. მეცადინეობა გრძელდება (სურათი მარჯვნივ).

ჯ. სალაძე.

საერთაშორისო ხროვაკა

საბჭოთა პარლამენტარების ლიგანში ჩავიდნენ

ბეირუთი, 4 მაისი. (საკდესი). ლიბანის პარლამენტის მოწვევით დღეს აქ საპასუხო მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის კ. ფ. ილიაშენკოს მეთაურობით.

აფრიკის განვითარების მიზნით

კოტონუ, 5 მაისი. (საკდესი). დასავლეთ აფრიკის თორმეტი ქვეყანა შეთანხმდა შექმნან დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიური გაერთიანება. ამ შეთანხმებას მიაღწიეს დასავლეთ აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს განის დედაქალაქში და მოწვეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის მიერ.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიურ გაერთიანებას განზრახული აქვს ეკონომიური თანამშრომლობის გზით ხელი შეუწყოს მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკის განვითარებას, ვაჭრობის გაფართოებას გაერთიანების წევრებსა და დანარჩენ სამყაროს შორის, აგრეთვე მთელი აფრიკის ეკონომიურ განვითარებას.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიური გაერთიანების შექმნის შესახებ ხელშეკრულების შესამუშავებლად გადაწყდა მოეწყოს მინისტრების დონეზითი საბჭო.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს დაგომეის, განის, სიერა ლეონის, ლიბერიის, მალის, მავრიტანიის, ნიგერის, ნიგერიის, სენეგალის, სიერა ლეონეს, ტოგოსა და ზემო ვოლტის წარმომადგენლებმა.

სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ

სსრ კავშირი

„ძირს ფაშისტური დიქტატურა საბერძნეთში!“, „თავისუფლება მანოლის გლეზოსს!“ — ასეთი ლოზუნგებით მიმდინარეობდა 4 მაისს მოსკოვის უნივერსიტეტში პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა საპროტესტო მიტინგი საბერძნეთში მომხდარი სამხედრო-ფაშისტური გადატრიალების წინააღმდეგ.

გახსნა რა მიტინგი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ბ. ბარნინმა აღნიშნა, რომ საბერძნეთის — დემოკრატიის სამშობლოს ბედი ახლა მთელ პროგრესულ კაცობრიობას აღელვებს. ყველა საბჭოთა ადამიანი გადაჭრით უჭერს მხარს ბერძენ ხალხს რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ რეპრესიები, გაათავისუფლონ დაპატიმრებული ბერძენი პატრიოტები.

— ჩვენი სამშობლო, — თქვა ბერძენმა ჟურნალისტმა სტავროს ზორბალასმა, — მძიმე დღეებს განიცდის. — სამხედრო-ფაშისტური ხუნტა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა დახმარებით ცდილობს ჩაახშოს დემოკრატია საბერძნეთში. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს!.

გამოვიდა რა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ბერძენ სტუდენტთა, ასპირანტთა და სტაჟიორთა სახელით, სტუდენტმა ფოტოს ბასტუნოუულოსმა განაცხადა: მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ საბერძნეთში მომხდარი სამხედრო-ფაშისტური გადატრიალების ნამდვილი ორგანიზატორები არიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები. დემოკრატიის მტრებს სურთ ჩვენი სამშობლო გადაქცევნონ რეაქციის დასაყრდენად ევროპაში, თქვა მან. მაგრამ ბერძენი ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად არ დაუშვებს ამას. ჩვენ ვიბრძოლებთ! ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ფაშიზმი ვერას გახდება!

„სსრ კავშირ-საბერძნეთის“ საზოგადოების გამგეობის წევრებმა პროფესორმა დ. ს. კარევმა და უნივერსიტეტის უხუცესმა პროფესორმა ს. ი. რადციგმა ილაპარაკეს ბერძენი ხალხისადმი სოლიდარობაზე, რომელიც რეაქციული ძალების წინააღმდეგ იბრძვის. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ საბერძნეთში გაიმარჯვებს დემოკრატია.

ბერძენი დემოკრატების, მანოლის გლეზოსის დასაცავად გამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, იტალიის, კვიპროსის, კუბის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების სტუდენტთა სათვისტომოების წარმომადგენლები.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სოლიდარობას უცხადებენ ბერძენ ხალხს სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. მათ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ელადის თავისუფლებისმოყვარე ხალხი გაიმარჯვებს რეაქციის ძალებზე.

ჩეხოსლოვაკია

საბერძნეთის ქვეშევრდომნი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში ცხოვრობენ, შეიკრიბნენ საბერძნეთის პრაღის საელჩოს წინ. „მოვითხოვთ თავისუფალ არჩევნებს“, „თავისუფლება პოლიტიკურ პატიმრებს“, „თავისუფლება მანოლის გლეზოსს“, — წარმოთქვამდნენ შეკრებილნი.

ავსტრია

ვენაში გაიმართა ვენის ახალგაზრდობის საოლქო-ტესტო დემონსტრაცია საბერძნეთში სამხედრო დიქტატურის დამყარების წინააღმდეგ. დემონსტრანტები წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს: „თავისუფლება საბერძნეთს!“, „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“, „ძირს დიქტატურა!“.

გ ფ რ

გერმანელთა კავშირის პრეზიდიუმმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყველა დემოკრატიულად განწყობილ მოქალაქეს მოუწოდა პროტესტი განაცხადონ საბერძნეთში სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის დამყარების წინააღმდეგ.

გერმანელთა კავშირის თავმჯდომარემ იოზეფ ვებერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დასჯას უპირებენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლს მანოლის გლეზოსს. (საკდესი).

ნიუ-იორკი ბისზეპრეზიდენტი

ჟ. სამბუს წერილი

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჟ. ბანზარი ეერბალურ ნოტაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე სთხოვს მას გავრცელოს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჟ. სამბუს 30 აპრილის წერილი საბერძნეთის მეფისადმი. წერილში გამოთქმულია დიდი წუხილი იმის გამო, რომ საბერძნეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად ფეხქვეშ თელავენ კონსტიტუციურ თავისუფლებებს და ძმეინვარებს ტერორი.

ჟ. სამბუმ მოუწოდა ბოლო მოუღონ რეაქციის თარეშს, აღადგინონ კანონიერება, გაათავისუფლონ მანოლის გლეზოსი და სხვა ბერძენი პატრიოტები.

პუტჩისტის აღიარება

ბონი, 4 მაისი. (საკდესი). „საბერძნეთის ახალი მთავრობის უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანაა სახელმწიფოს წმენდა“, — განაცხადა დასავლეთგერმანულ გაზეთ „დი ველტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში საბერძნეთის სამხედრო გადატრიალების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა მაკარეზოსმა.

მაკარეზოსი, რომელსაც საბერძნეთის ახალ მთავრობაში კოორდინაციის მინისტრის პოსტი უკავია, ამტკიცებდა, რომ „მხოლოდ არმიას შეუძლია რეფორმების განხორციელება“. მან ხაზი გაუსვა, რომ საბერძნეთში საგანგებო წესები ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება.

ი. ილიუს სიცოცხლე საფრთხეშია

ბელგრადი, 4 მაისი. (საკდესი). საფრთხეშია საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მმარცხენე პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ილიას ილიუს სიცოცხლე, რომელიც საბერძნეთის მხედრიონმა დააპატიმრა. ამას იუწყება დღეს იუგოსლავური გაზეთი „პოლიტიკა“, რომელიც იმოწმებს საბერძნეთის არალეგალური რადიოსადგურის „სიმართლის ხმის“ რადიოგადაცემას.

რადიოგადაცემაში აღინიშნა, რომ, თუმცა ილიუს გულის მძიმე ავადყოფობა სჭირს, მას არავითარ სამედიცინო მომსახურებას არ უწევენ პატიმრობაში. რადიოსადგურმა მოუწოდა საბერძნეთის მოსახლეობასა და მსოფლიო საზოგადოებრიობას მოითხოვონ ილიას ილიუსის განთავისუფლება.

ამავე გადაცემაში, წერს „პოლიტიკა“ მოუწოდებენ ევროპის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას დაეხმაროს ბერძენ ხალხს „დიქტატურის დამხობასა და სახალხო ხელისუფლების დამყარებაში დემოკრატიის გამარჯვების ინტერესებისათვის“.

ჯამბოჯის წარმომადგენლის პროტესტები

ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საკდესი). კამბოჯის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამმართა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში ენერგიული პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალები განაგრძობენ, აგრესიის წინასწარგანზრახული აქტებს კამბოჯის წინააღმდეგ.

წერილში მოყვანილია იანვარ-მარტის მრავალი შემთხვევა, როცა ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ქვეგანაყოფები კამბოჯის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, როცა არტილერიამ და ნაღმსატყორცნებმა ცეცხლი დაუშინეს კამბოჯის სოფლებსა და სასაზღვრო საგუშაგოებს სამხრეთ ვიეტნამიდან, ამერიკის შეერთებული შტატების თვითმფრინავები შეიჭრნენ საჰაერო სივრცეში, ხოლო ამერიკისა და სამხრეთ ვიეტნამის საპატრულო კატარღები კამბოჯის ტერიტორიულ წყლებში. ამის შედეგად არიან დახოცილნი და დაჭრილნი.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გაგზავნილ ორ წერილში სამმართა თავისი მთავრობის სახელით მტკიცე პროტესტი განაცხადა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ ტაილანდი განაგრძობს პროვოკაციებს და ტერორით აშინებს კამბოჯის სასაზღვრო რაიონების მშვიდობიან მცხოვრებლებს. ტაილანდელი დივერსანტების მიერ ჩალაგებული ნაღმების მსხვერპლი ხდებიან კამბოჯელი გლეხები.

კამბოჯის მთავრობა პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობით ამზადებენ ქმნერ დივერსანტებს და გზავნიან კამბოჯაში.

რისთვის სურთ ომი?

ნიუ-იორკი, 5 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უილიამ ფულბრაიტმა ვიეტნამის ომის ესკალაციის ყველაზე აშკარა მომხრენი კონგრესში დაახასიათა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების უბადაღებული „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის“ წარმომადგენლები. როგორც გარდენ-სიტის (ნიუ-იორკის შტატი) გაზეთ „ნიუსდეის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იტყობინება, ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარე რიჩარდ რასელი (სენატორი ჯორჯიის შტატისაგან), წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მენდელ რივერსი (სამხრეთ კაროლინის შტატისაგან) და სენატორი ვაშინგტონის შტატისაგან ჰენრი ჯექსონი კონგრესში ამერიკის შეერთებული შტატების იმ რაიონების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც მსხვილი სამხედრო მრეწველობა აქვთ.

ჯორჯიაში განლაგებულია „ლოკჰიდის“ ფირმის უდიდესი საავიაციო ქარხნები, ვაშინგტონის შტატში — „ბოინგის“ კომპანიის მთავარი საწარმონი, ხოლო სამხრეთ კაროლინაში — ჩარლსტონის გემსაშენები, „ჰოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნაგების ბაზა, სამხედრო-საჰაერო ბაზა და „ლოკჰიდის“ ფირმის ქარხანა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ულტრაპატრიოტი კონგრესმენები იმ კონცერნების რუპორს წარმოადგენენ, რომლებიც ჯიბეს ისქელებენ სამხედრო შეკვეთების საშუალებით.

საქმოსნებსა და მთავრობის ზოგიერთ მოღვაწეს, როგორც ფულბრაიტმა განაცხადა, ვიეტნამის კონფლიქტი მიაჩნიათ „სასიამოვნო პატარა ომად“. მსხვერპლი არც თუ ისე დიდია, ამბობენ ისინი, სამაგიეროდ ეს ომი ეკონომიკისათვის დადად სასარგებლოა.

ფულბრაიტმა აღნიშნა, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს მთავრობის პოლიტიკაზე.

ბულგარეთი

ბულგარეთის მეცნიერებმა პროტესტი განაცხადეს საბერძნეთში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების წინააღმდეგ. სოფიაში გამოქვეყნებულ განცხადებაში ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირი

ბრაზილია

ბრაზილიის ეროვნული კონგრესი ბრაზილიის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ბეჭდავს ლოზუნგს: „ეროვნული ბანკი — ეროვნული ბანკი“. ეროვნული ბანკი ბრაზილიის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ბოლოდ ინარჩენია, ეროვნული ბანკი ბრაზილიის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ბოლოდ ინარჩენია, ეროვნული ბანკი ბრაზილიის ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ბოლოდ ინარჩენია.

ბულგარეთი

ბულგარეთის მეცნიერებმა პროტესტი განაცხადეს საბერძნეთში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების წინააღმდეგ. სოფიაში გამოქვეყნებულ განცხადებაში ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირი

გამოჩენილი მეცნიერი

ნ. ძიძიშვილის დაბადების 60 წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ნერვული მოქმედების ონტოგენეზის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ძიძიშვილს შეუსრულდა დაბადების 60 წელი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 39 წელი.

ნიკოლოზ ძიძიშვილი დაიბადა 1907 წლის 31 მარტს. 1928 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დაიწყო მუშაობა ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფ. ივანე პეტრეს-ძე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1935 წელს მისი მასწავლებლის ინიციატივით იგი მიავლინეს ქ. მოსკოვში, სადაც მუშაობდა პროფ. ს. კრავკოვისა და შემდეგ აკად. პ. ლაზარევის ლაბორატორიებში. პროფ. კრავკოვის ლაბორატორიაში მიღებული შედეგები იმის თაობაზე, თუ ერთი თვალის გაღიზიანება რა გავლენას ახდენს მეორე თვალის ფუნქციებზე, საფუძვლად დაედო ნ. ძიძიშვილის საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც მან 1936 წელს დაიცვა მოსკოვში, საკავშირო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში.

1936 წლის შემოდგომაზე ნ. ძიძიშვილი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. მან, საბჭოთა კავშირში ერთმა პირველთაგანმა, დაიწყო რეცეპტორთა ფიზიოლოგიის კურსის კითხვა, რომელსაც დღესაც კითხულობს ფიზიოლოგ-სტუდენტთათვის.

1947 წელს ნ. ძიძიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მას მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მალე ამის შემდეგ — პროფესორის წოდება. ამ შრომისათვის, რომელშიც ახლებურად იყო შესწავლილი კანის რეცეპტორული ფუნქცია, ნ. ძიძიშვილს მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია.

ნ. ძიძიშვილი სხვადასხვა დროს გაანაგებდა ფიზიოლოგიის კათედრებს თბილისის, ბათუმისა და გორის უმაღლეს სასწავლებლებში. ყველგან, სადაც მას უმუშავნია, მოხვეჭილი აქვს კარგი ლექტორისა და პედაგოგის სახელი.

1961 წელს ნ. ძიძიშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სპეციალური წოდება. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

ნ. ძიძიშვილი საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების გამგეთა შვრი და ცნობიერი მოქმედების ურთიერთობა. ეს გამოკვლევა იყო ერთი პირველთაგანი, რომლის შედეგადაც გამოყენილ იქნა იმ დროისათვის მეტად გაბედული დასკვნა იმის შესახებ, რომ ადამიანის ცნობიერი მოქმედება განაგებს პირობით-რეფლექსურ და თანშობილ მოქმედებასაც და რომ ეს უმაღლესი კატეგორიის მოქმედება არ შეიძლება გავაიგივეთოთ რეფლექსურ მოქმედებასთან.

უფრო გვიან (1957 წ.) ნ. ძიძიშვილმა შეისწავლა თავის ტვინას ქერქის ე. წ. მამოძრავებელი უბნის ურთიერთობა მზედველობისა და სმენის ქერქულ უბნებთან და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პირობითი მამოძრავებელი რეფლექსები უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებს შეიძლება გამოუმუშავდეს მამოძრავებელი უბნის მონაწილეობის მიუღებლად. მან ივარაუდა (და ეს ვარაუდი თანამედროვე გამოკვლევებით სარწმუნოდ არის დადასტურებული), რომ დროებითი ნერვული კავშირების გამომუშავება უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებში არ არის თავის ტვინის ქერქის სპეციფიკა და რომ ქერქი სხვადასხვა პირობითი რეფლექსების გამომუშავების დროს მონაწილეობს როგორც რთული მექანიზმის წამყვანი შემადგენელი ნაწილი.

თანამედროვე ფიზიოლოგიური გამოკვლევებით აღმოჩენილია ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ენიჭება თავის ტვინის ღეროს სპეციფიკურ წარმონაქმნებს, ე. წ. ბადისებურ წარმონაქმნს. ნ. ძიძიშვილმა ს. ბუთხუზოვთან ერთად გამოარკვია, რომ ბადისებური წარმონაქმნის დაზიანება ისეთსავე დარღვევებს იწვევს ცხოველის მოძრაობაში, როგორც თავის ტვინის ქერქის მამოძრავებელი უბნის დაღაღვება. მაგრამ თუ ორივე ეს წარმონაქმნი დაზიანდა, მაშინ ცხოველი ილუპება.

ნ. ძიძიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა სხვადასხვა პერიფერიულ გაღიზიანებათა როლი ცენტრალური ნერვული სისტემის ე. წ. ზოგადი შეკავებისა და ზოგადი გაადვილების გამოწვევაში, რომლის ცნება ი. ბერიტაშვილმა ჩამოაყალიბა (1936-1941). ნ. ძიძიშვილს მრავალმხრივ აქვს ნაკვლევი კანის რეცეპტორული ფუნქცია. ამ კვლევისათვის მან გამოიყენა ერთი მხრით საკუთარი მეთოდი კანის წერტილოვანი ელექტრული გაღიზიანებისა და მეორე მხრივ აწარმოვა იმ ელექტრული იმპულსების აღრიცხვა, რომლებიც მგრძნობიარე ნერვულ ბოჭკოებში აღმოცენდება კანის რეცეპტორების გაღიზიანების საპასუხოდ. ნ. ძიძიშვილმა შეძლო ადამიანის ნორმალურ კანში აღეწერა ისეთი წერტილები, რომლებიც წაგავს ნევროლოგ ჰედის მიერ აღწერილს გადაჭრილი ნერვის აღდგენის (რეგენერაციის) პირველ სტადიაში. მრავალმხრივი კვლევის შედეგებიდან აღვნიშნავთ ნ. ძიძიშვილის იმ დასკვნას, რომელიც დღეს საყოველთაოდ მიღებული დებულებაა: კანის ერთნაირი ტიპის რეცეპტორთა შორის არის ნატიფი დიფერენციერება. ამასთან ერთად ნ. ძიძიშვილმა აღნიშნა ის კანონზომიერება, რომელიც არსებობს გაღიზიანებული კანის ფართობსა და აღგზნების იმპულსაციის ხანგრძლივობას შორის (1939-1946 წ.წ.). ამ გამოკვლევებიდან მრავალი წლის შემდეგ (1965 წ.) ნ. ძიძიშვილმა სხვადასხვა რეცეპტორულ დაბოლოებათა თანამედროვე სტრუქტურული გამოკვლევებისა და მათი ქიმიზმის გათვალისწინებით წამოაყენა მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ვისცერალური ტკივილის (შინაგან-ორგანთა ტკივილის) მექანიზმი და რა უნდა ედოს საფუძვლად იმ ფაქტს, რომ ყოველგვარი მძლავრი გაღიზიანება იწვევს ტკივილს (1965 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ძიძიშვილმა ქართულ ენაზე დასტამბა რეცეპტორთა ფიზიოლოგიის ორიგინალური სახელმძღვანელო (1965 წ.), რომელშიც მასალა მოცემულია თანამედროვე ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევების შესაბამისად.

ნ. ძიძიშვილი საბჭოთა კავშირში ერთი პიონერთაგანია ელექტროენცეფალოგრაფიული მეთოდის გამოყენებისა, რაც დღეს ესოდენ ფართოდ არის გავრცელებული ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებში და კლინიკებში. იგი ამ სტრიქონების ავტორებთან ერთად საქართველოში პირველი ავტორი იყო ელექტროენცეფალოგრაფიული შრომებისა. ეს შრომები შეეხება ნორმალური ადამიანის თავის ტვინის ელექტრული აქტივობის შესწავლას, ეპილეპსიით დაავადებულთა, თავის ტვინში დაჭრილთა და ტვინის სხვა დაზიანებათა დროს აღმოცენებულ თავისებურებათა შესწავლას ამ აქტივობაში. ნ. ძიძიშვილმა პირველმა შეისწავლა ის ელექტროენცეფალოგრაფიული ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვთ ნორმალური ადამიანის მძიმე ფიზიკური მუშაობის შედეგად, ფსიქიკურ დაავადებათა დროს, როგორიც არის შიზოფრენია, გულყრიანი ისტერია, ისტი დაავადების დროს, როცა მკვეთრად არის გამოხატული ტკივილი და სხვა. ამ გამოკვლევათაგან მრავალი შედგება შესული სხვადასხვა სახელმძღვანელოში.

ნ. ძიძიშვილი თავის კვლევითს მუშაობას დიდი ხანია აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც იგი მუშაობს დღიდან ამ ინსტიტუტის დაარსებისა. იგი რამდენიმე წელია აქ განაგებს ნერვული მოქმედების ონტოგენეზის ლაბორატორიას და თავის თანაშრომლებთან ერთად შეისწავლის მრავალ საკითხს ამ განვითარებისას. ბოლო წლებში მან თანამშრომლებთან ერთად გულდასმით გამოიკვლია თავის ტვინის ახალი ქერქისა და განსაკუთრებით ძველი ფილოგენეზური წარმონაქმნის, ჰიპოკამპის მოქმედება. ამ გამოკვლევათაგან აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ გამოკვლევას იმის თაობაზე, რომ ონტოგენეზის ადრეულ საფეხურზე დიდი ტვინის ქერქისა და ჰიპოკამპის ელექტრული აქტივობა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ტვინის ღეროვანი ნაწილის ბადისებური წარმონაქმნის გავლენა თავის ტვინის ქერქზე და ჰიპოკამპზე არსებითად იცვლება ცხოველის ასაკთან ერთად.

ნ. ძიძიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით არის შესრულებული მრავალი გამოკვლევა ფიზიოლოგიის სხვადასხვა დარგიდან. ასეთებია, მაგალითად, თირკმლების ელექტრული აქტივობის გამოკვლევა, სისხლძარღვთა პერიოდული მოქმედების ანალიზი, კუჭის წვენის სეკრეციის ონტოგენეზური შესწავლა, ადამიანის ნაწლავთა მოტორული ფუნქციის და სხვა საკითხების კვლევა.

ნ. ძიძიშვილი ლიტერატურის სარბიელზეც ცნობილია. სახელდობრ, მშვილიძის ოპერა „დედოსტატის მარჯვენა“ და თამარ შავერზაშვილის ოპერა „იაგენანა“ მისი ლიბრეტოების მიხედვით არის დაწერილი. განსაკუთრებულ პოპულარობით სარგებლობს მისი რადიოპიესა „ზაქარია ფალიაშვილი“.

ვუსურვებთ ძვირფას იუბილარს ხანგრძლივ სიცოცხლეს და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას.

აკადემიკოსი
ივ. ბერიტაშვილი,

პროფესორი
ალ. ბაკურაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.





ასალი სატელევიზიო არხი ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — სალექსლოტაციოდ გადაეცა ტელევიზიის ახალი სარეტრანსლაციო გადამცემი დანადგარი, რომელიც გადაცემებს მეშვიდე არხით იღებს. პირველი მაისიდან ქუთაისის მშრომელები ცისფერ ეკრანზე ნახულობენ და უსმენენ მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის პირველ პროგრამას.

ახალი სატელევიზიო არხის დანადგარი ააგო და ვადაძდე დაამონტაჟა ქუთაისის ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგურის (უფროსი ვ. ჩიტუხინი) კოლექტივმა.

მშრომელთა სამსახურში

ცხაკაიას რაიონის მშრომელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. ქ. ცხაკაიაში რუსთაველის ქუჩაზე რაიკოოპკავშირმა გახსნა ორსართულიანი უნივერსალური მაღაზია. მაღაზიას 12 სექცია აქვს.

მშრომელთა სამსახურში ჩადგა აგრეთვე 230-ადგილიანი კინოთეატრის ახალი შენობა. იგი ცხაკაიაში, „მშვიდობის ქუჩაზეა.

ს. კუბავა.

ხვალ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება რადიოს დღე. ამ დღესასწაულს ჩვენი რესპუბლიკის რადიოს და ტელევიზიის მუშაკები ხვდებიან ახალ კეთილმოწყობილ, უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილ რადიოს და ტელევიზიის სახლში.

ამ დღისათვის საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ მოამზადა სპეციალური პროგრამა, რომელიც გადაეცემა ეთერში და ნაჩვენები იქნება ცისფერ ეკრანზე.

სურათებზე: ზემოთ თბილისის ტელევიზიის დიქტორი დ. კინწურაშვილი აწარმოებს მორიგ გადმოცემას; ქვემოთ — რადიოს და ტელევიზიის სახლის ჩამწერ სტუდიაში მიმდინარეობს რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ამირანაშვილის სიმღერის ჩაწერა.

ფოტო ს. ლეონასი.

სპბაგირო გზების სიახლენი



ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქმეისს ფოტოქრონიკა).

სწრაფად მიდის საბაგირო საბაგირო გზის ვაგონი. უცბად წამყვანი გვარლი წყდება და ვაგონი მეორე გვარლზე ეკიდება.

დიდი დრო სჭირდებოდა სპეციალური ჯალამბრის საშუალებით ხალხის გადაყვანას ზედა სადგურში.

ამ პრობლემის გადაწყვეტით დაინტერესდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რაციონალიზატორი გიორგი ივანეს-ძე ფანცულაია.

ხანგრძლივმა ძიებამ სასურველი შედეგი გამოიღო. საბაგირო ვაგონის ჭერთან მიმაგრებულია ორიგინალური თვითდამუხრუჭებელი ჯალამბარი.

ჯალამბრის გაწყვეტის ან სხვა დაზიანების დროს სპეციალური შარვლების და ჯალამბრის მეშვეობით მგზავრები დაბლა ეშვებიან.

აი კიდევ ერთი სიახლე ჭიათურელი ინჟინერის შოთა ამბერკის-ძე ნოინაძისა. მისი წინადადებით საბაგირო სამგზავრო ვაგონებში განთავსება მოეწყობა ავტომანქანების ანალოგიური ელექტრომოწყობილობის სისტემით. ხოლო ქანქარის სისტემის საბაგირო გზებისათვის ინჟინერმა გამოიყენა ორიგინალური ელექტროსქემა, რომელიც სხვა სქემებთან შედარებით ფრიად ეკონომიურია, მარტივია ექსპლოატაციაში და არ მოითხოვს კაპიტალურ ხარჯებს.

სურათზე: ინჟინერ გ. ფანცულაიას თვითდამუხრუჭებელი ჯალამბრის გამოცდა.

ე. მერკვილაძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — დირექტორმა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ვლადიმერ ნესტორის-ძე მერკვილაძემ** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქართველოში საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების ისტორია (1921-1936 წ.წ.)“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. ნ. მერკვილაძისათვის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

თეატრალური ავტომატარებელი

ბათუმში საზეიმო განწყობილებაა. აჭარის ასსრ საექსკურსიო ბიურომ თაოსნობით აქ პირველი თეატრალური ავტომატარებლით საექსკურსიოდ ჩამოვიდნენ ქედის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები.

საზეიმო შეხვედრის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ყველანერთი შეამკეს 1902 წლის მარტში რევოლუციონერი მუშებისა და მეფის ჯარისკაცების შეტაკების დროს დაღუპულ მებრძოლთა საფლავები.

ქედელებმა ცოცხალი თაიგულებით მორთეს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში დაღუპულ ძმათა ობელისკი. საღამოს ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კომფორტაბელური გემი „აჭარა“.

ექსკურსიის მონაწილეები კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ.

ბ. ჩხაიძე.

ფეხბურთში მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე შვეიცარიაში წარმატებით გამოსვლის შემდეგ საფრანგეთის ნაკრები რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ვეღარ ასრულებს მსოფლიო ფეხბურთში. 1962 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩილეში ის საერთოდ არ გამოსულა ფინალში, შარშან კი ინგლისში თავის ქვეჯგუფში უკანასკნელი ადგილი დაიკავა.

ჟიუსტ ფონტენი მწვანეულის როლში?

ნაკრების მწვრთნელი ა. გერენი ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან, და მისი ადგილი ჟიუსტ ფონტენმა დაიკავა.

□

ფონტენი 33 წლისაა. მისი სახელი პოპულარული გახდა ჯერ კიდევ 1958 წელს, როცა 24 წლის ფორვარდი მსოფლიოს VI პირველობის საუკეთესო სნაიპერი გახდა, ხოლო მისი გუნდი — ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. მისი დარტყმების შემდეგ ექვს თამაშში 13-ჯერ გამოიტანეს მეტოქე გუნდის მეკარეებმა ბურთი თავიანთი კარიდან. ამ რეკორდს დღემდე ვერავინ გადააჭარბა.

□

სამი წლის შემდეგ ჟიუსტს მარცხი შეემთხვა თავისი გუნდის („რეიმსის“) მატჩში „სოშოს“ წინააღმდეგ. ჟიუსტმა მეტოქის უხეშობის გამო ფესის ორმაგი გადატეხილობა მიიღო.

ორ წლამდე გრძელდებოდა მკურნალობა და ფორმის აღდგენა. ფრანგების საყვარელი მოთამაშე თითქოს კვლავ იბრწყინებდა საფრანგეთის ფეხბურთის მოედნებზე. მაგრამ ფონტენს ახალი ტრავმა ელოდა: 1961 წლის 1 იანვარს თამაშის დროს მას კვლავ მიაყენეს ტრავმა, თანაც იმავე ფეხზე.

ეს დასასრულს ნიშნავდა. ექიმების კონსილიუმი ულმობელი იყო: სპორტსმენი, სამწუხაროდ, ინვალიდად ცნეს (სხვათა შორის, ფონტენს დღემდე არათუ სიარბილი, არამედ ჩქარი სიარულიც არ შეუძლია). სპორტში მისი კარიერა დამთავრდა. ჟიუსტმა ტულუზაში სპორტული საქონლის მაღაზია გახსნა. იქვე რამდენიმე ხნის შემდეგ მოუვარულთა ერთ-ერთი კლუბის წვრთნა დაიწყო...

პოლ ნიკოლა, 1958 წელს საფრანგეთის ნაკრების წარმატების ერთ-ერთი ავტორი, ასე ამბობს ფონტენზე:

„როცა მის თამაშს ვიხსენებ, ჩემი საუკეთესო წლები მაგონდება. მისი თამაში არ შეიძლება სიამოვნებას არა გვგრიდეს“.

ხოლო ლეგენდარული რაიმონ კოპა ბანს აძლევს:

„ვერ წარმომიდგენია ფეხბურთი უფონტენოდ“.

და აი, მიუხედავად ტრაგედიებისა, რაც ჟიუსტს ფეხბურთმა მოუტანა, იგი მაინც ფეხბურთის ერთგული დარჩა. იგი პირდაპირი, სამართლიანი ადამიანია, რომელიც უკომპრომისოდ მიდის მიზნისაკენ. ეს მან დაამტკიცა არა მარტო ფეხბურთის მოედანზე, არამედ „საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის“ პრეზიდენტის პოსტზეც.

იგი უცილობელი ავტორიტეტით სარგებლობს საფრანგეთის ფეხბურთელთა შორის. ხოლო საზოგადოებრიობას სჯერა, რომ მის სახელთან დაკავშირებული იქნება საფრანგეთის ფეხბურთის პრესტიჟის აღდგენა...

ფონტენის მაღაზიის შესასვლელის თავზე პატარა გერბზე ამოკვეთილია ნაპოლეონის სიტყვები:

„თუ თქვენი მიზნის მიღწევას ღონისძიებათა მაქსიმუმს მოახმართ, წარმატებას მიაღწევთ“.

შეძლებს თუ ვერა ფონტენი საფრანგეთის ფეხბურთის პრესტიჟის ამაღლებას? ახლა ამაზე ლაპარაკი ადრეა. თვითონ კი ეი რას ამბობს თავის ახალ როლზე: „მე პირადად თითიც არ გამეძრავია, რომ ეს პოსტი მიმეღო, და რამდენიმე თვის წინათ ვინმეს რომ ჩემთვის ეთქვა, ნაკრების მწვრთნელი იქნებიო, მას სასაცილოდ ავიგდებდი. მაგრამ წინადადებაზე უარი არ მითქვამს. ხოლო ეს როდი ნიშნავს, რომ მე რეფორმას მოვახდენ და საფრანგეთის ფეხბურთის თავზე ღრუბლები გაიფანტება.

ასე რომ განვაცხადო, ეს სარისკოა, და არც მოველი ამას. პირველი, რაც მინდა შევნიშნო, ის არის, რომ აუცილებლად დამჭირდება ჩვენი წამყვანი მწვრთნელების დახმარება. საფრანგეთის ნაკრებმა, ჩემი აზრით, თვეში ერთხელ მაინც უნდა ითამაშოს, ვინაიდან მოთამაშენი ერთმანეთს უნდა შეეჩვიონ. მაგრამ თუ შეეძელი შევქმნა ნაკრები ერთი კლუბის ბაზაზე, როგორც ეს ჩემს დროს იყო („სტად რეიმსის“ კლუბის ბაზაზე), მაშინ, რა თქმა უნდა, ხშირი შეკრება და თამაში საჭირო აღარ იქნება. ჩემს გეგმებში ისიც შედის, რომ მოვაწყო საფრანგეთის ახალგაზრდობის პირველობა ეროვნული გუნდის რეზერვების გამოსავლენებლად. ჩვენ აქამდე არ გვქონია ზუსტად ორგანიზებული ჩემპიონატი 23 წლამდე ასაკის მოთამაშეთათვის“.

ეს არის ახალი მწვრთნელის პირველი აზრები, მისი უახლოესი გეგმები. აბსურდი იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ფონტენი, თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით, მყისვე გადაწყვეტს საფრანგეთის ფეხბურთის წინაშე მდგომ ყველა პრობლემას.

ჩეხურიდან თარგმნა
ე. ფრიმერმანმა.

სამეცნიერო სესია

ფოთი. (საკ. კორ.). აქ ჩატარდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა მუზეუმების საკავშირო დათვალიერებას.

სამეცნიერო სესია გახსნა საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა გ. კვაშილავამ.

„კოლხეთის დაბლობის გეოგრაფიული თავისებურებები, გეოლოგიური წარსული და სასარგებლო ნამარხები“ — ამ თემაზე დამსწრეებს მოუთხრო გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა მ. ძველაიამ.

კოლხიდის დაბლობის ჰიდრომინერალურ რესურსებზე და ჰიდროთერმულ წყლებზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს კოლხეთის ჰიდროლოგიური პარტიის უფროსმა, ინჟინერ-გეოლოგმა ელ. სიხარულიძემ და დამსახურებულმა ინჟინერმა გ. სილაგაძემ.

სესიამ მოისმინა აგრეთვე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფოთის ფილიალის დირექტორის ა. მოწერელიას, ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ს. გუბელიძისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ა. კაპანაძის საინტერესო მოხსენებები.

წიგნის მეგობრები

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). აქ წარმატებით მიმდინარეობს წიგნის გავრცელების ერთთვიური.

ვერტყვიჭალის საშუალო სკოლის კოლექტივმა (დირექტორი გ. ბარბაქაძე) ერთთვიურის პირველ დღეებში 815 მანეთის ლიტერატურა გაავრცელა. დიდძალი ლიტერატურა შეიძინეს აგრეთვე ფარცხნალის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი უ. ვეფხვაძე) მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა.

დაბა ორჯონიკიძის საავადმყოფოს ქირურგმა ს. დეკვარიანმა საკუთარი ბიბლიოთეკა 52 მანეთის წიგნებით გაამდიდრა.

დევისის თასზე

დაიწყო დევისის თასის გათამაშება ჩოგბურთში. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად დიუსელდორფში გამოდიან საბჭოთა სპორტსმენები — სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი, თ. ლეონუსი, ს. ლიხაჩოვი და ვ. პოროტკოვი.

პირველი მატჩი ჩვენს ჩოგბურთელებს აქვთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდთან. უნდა გათამაშდეს ერთიანთა ოთხი მატჩი და წყვილთა ერთი შეხვედრა. უკვე გაიმართა ერთეულთა ორი ასპარეზობა.

ა. მეტრეველი შეხვდა გერმანიის ცნობილ ჩოგბურთელს ი. ბუდინგს და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1 (7:5, 6:3, 1:6, 9:7). სსრ კავშირის ექსჩემპიონი თ. ლეონუსი თამაშობდა ვ. ბუნგერტთან, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის № 1 ჩოგბურთელად ითვლება. აქ წარმატება ვ. ბუნგერტს ხვდა 3:0 (6:3, 6:2, 7:5).

ამრიგად, პირველი დღის შემდეგ ანგარიშია 1:1.

ნაკრები გლაზგოში მიემგზავრება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა **მიხეილ იაკუშინმა** თექვსმეტი სპორტსმენი შეარჩია ცხრა წამყვანი კლუბებიდან. ეს მოთამაშენი პირველად ფეხბურთის ისტორიაში გამოვლენ შოტლანდიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი 10 მაისს გაიმართება.

ნაკრების შემადგენლობაში შარშანდელთან შედარებით თითქმის არ მომხდარა ცვლილებანი. მოედანზე კვლავ გამოვა 37 წლის **ლ. იაშინი.** ექვს მაისს დილით გლაზგოში გაემგზავრება იხგლისის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ათი მონაწილე: მეორე მეკარე **ა. კავაზაშვილი;** მცველები — **ა. შესტერნიოვი, ვ. დანილოვი, მ. ხურცილავა, ვ. აფონინი;** ნახევარმცველები — **ვ. ვორონინი ი. საბო;** თავდასხმელები — **ი. ჩისლენკო, ე. მალოფეევი,** და **ე. მარქაროვი.**

დანარჩენი ხუთი მოთამაშე სხვადასხვა დროს იცავდა ნაკრები გუნდის ღირსებას. ესენი არიან ნახევარმცველები — **ა. ლეონოვი** და **თ. მედვიდი,** თავდამსხმელები — **ე. სტრელცოვი, გ. ევრიუკინი** და **ა. ბიშოვეცი.**

მ. იაკუშინმა საკდესის კორესპონდენტთან განაცხადა — როცა „უემბლის“ სტადიონზე ვუყურებდი შოტლანდიის ნაკრების მატჩს მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის გუნდთან, რომელიც აპრილში გაიმართა და გაიმარჯვა შოტლანდიის ნაკრებმა ანგარიშით 3:2, დავრწმუნდი, რომ ჩვენ გაგვიჭირდება გლაზგოში მოგება.

ლიდერია „დურუჯი“

გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. დღეისათვის გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს თერთმეტი შეხვედრა.

გასული ტურის შედეგები ასეთია: „სამცხე (აწყური) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:0, „განთიადი“ (ბორჯომი)—„მესხეთი“ (ახალციხე) 0:0, „სინათლე“ (თბილისი) — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი 3:0, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 1:1, „ირისტონი“ (ცხინვალი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „გარეჯი“ (სიგნაღი) 0:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 4:0, „ქართლი“ (გორის რაიონი) — თბილისის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი 0:1, „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „აერო“ (გალი) 2:0, „ასანი“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 4:1.

ჩემპიონატზე წარმატებით გამოდის ყვარელის „დურუჯი“, რომელიც ლიდერობას არავის უთმობს. „დურუჯს“ 10 თამაშიდან 18 ქულა აქვს.

სპორტული ქრონიკა

□ **დღეს** ჩვენი მოჭადრაკეები დონის როსტოვში მიემგზავრებიან სადაც სამაგრო შეხვედრა ექნებათ ადგილობრივ ნაკრებ გუნდთან. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში არიან: ნ. ბაზარინდაშვილი, ა. ჩაიკოვსაია, (სათადარიგო მოთამაშედ ი. კასაბრიშვილი), ნ. ხუბულური, ბ. ბურგენიძე, თ. ბიორბაძე, თ. ლომაია, ი. ჩიქოვანი, ჯ. ბერაძე, დ. ჯანიეში, ა. ბოკუჩავა.

□ **შოტლანდიის** ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი — „სელტიკი“, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალისტია, თავის ქვეყნის პირველობის ლიდერიც არის.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)

6 მაისი

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის.

II ჯგუფი

„ვალგირისი“ ვილნიუსი — „ლოკომოტივი“ თბილისი

ძირითადი შემადგენლობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს 12 საათიდან.

ტელევიზია

6 მაისი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო დაფგმა რადიშჩევის მოთხრობის „ყველაზე სანუკვარის“ მიხედვით — პრემიერა, 18.05 — კინონარკვევი, 18.20 — „ცოდნა“ სამეცნიერო შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.50 — გადაცემა — „ცნობილი პიანისტი და პედაგოგი ანა თულაშვილი“, 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — ქართული კინოს 50 წელი — „ქართული კინოს ისტორიიდან“, 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — უნგრული მხატვრული ფილმი „სინათლე ფარდებს იქით“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 7 მაისისათვის, 22.30 — გასართობი მუსიკის კონცერტი „სპექტრი“ (გადმოცემა სოფიიდან), 23.30 — მინიატურების სატელევიზიო თეატრი — „ზოგიერთი რამ სხვადასხვაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

7 მაისი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 11.15 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მოთხრობა პტაშკინზე“, 15.40 — გადაცემათა პროგრამა, 15.45 — „რადიოსა და ტელევიზიის დღე“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — „შრომისა და სიმღერის ადამიანები“ — ქალაქ თბილისის სიმღერათა ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.00 — დოკუმენტური ფილმი, 18.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საქართველოს უმა